

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 სექტემბრის N04-1576/ო ბრძანებით

სოციალური მომსახურების სააგენტოში შექმნილი მუდმივმოქმედი სათათბირო

ორგანოს - კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ. თბილისი

17 ოქტომბერი 2019 წელი

21 ოქტომბერი 2019 წელი

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან გოგოძე - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე
ავთანდილ ვასაძე - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
კახაბერ ჩხარტიშვილი - ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
მაია მაღლაკელიძე-ხომერიკი - საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
პავლე ცაბიკიძე - კონტროლის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
რამაზ ადამია - კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
მაია შავშიშვილი - იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
მაგდა ნასყიდაშვილი - სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
ნინო გოგიჩაიშვილი - სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის შესრულებული სამუშაოს მართვის სამმართველოს უფროსი - კომისიის წევრი.

სათათბირო ორგანოზე განსახილველად წარმოდგენილ იქნა:

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის მიერ შპს „აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში“, შპს „გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრში“, სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრში“, შპს „თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში“, სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - თელავის რეფერალურ ჰოსპიტალში, სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში და სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში“ დაფიქსირებული შემთხვევების შემოწმების შედეგად გამოვლენილი სადაო საკითხები.

2. სოციალური მომსახურების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის მიერ შპს „ქ. თბილისის N19 მოზრდილთა პოლიკლინიკაში“ 2013 წლის 28 თებერვლიდან 2019 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლეებზე თანხმობის ფორმის შევსების მდგომარეობის შემოწმების შედეგად გამოვლენილი სადაო საკითხები.

პირველი საკითხის განხილვისას კომისიამ იმსჯელა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული შემთხვევების შერჩევითი შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, რომლებსაც არ დაეთანხმნენ მიმწოდებლები. კერძოდ:

შემოწმებული ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლები აპელირებენ, ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით და აფიქსირებენ პოზიციას, რომ 2013-2014 წლის შემთხვევებზე სანქციის

დაწესების უფლება შემმოწმებელ ჯგუფს არ ჰქონდა. საკითხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა გულისხმობს 5 წლიანი შემოწმების ვადას, მიმწოდებლების მხრიდან წარმოდგენილი პრეტენზიები საფუძველს მოკლებულია, რასაც კომისიის წევრებიც დაეთანხმნენ.

1. ელექტრონული ანგარიშგების მოდულში გადმოცემული და სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება ერთმანეთს. მიმწოდებლის მიერ დარღვეულია საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების მე-11 და მე-15 მუხლით განსაზღვრული პირობები. კერძოდ:

1.1. ინტენსიური მკურნალობის დონეები - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

1.2. ICD/NCSP შეუსაბამობა - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

1.3. სისხლისა და სისხლის კომპონენტების გადასხმის დროების შეუსაბამობა - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

1.4. პაციენტის კლინიკაში მიღება-გაწერის დროის შეუსაბამობა - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისიის მიერ ხმათაუმრავლესობით მიღებული რეკომენდაციით, აღნიშნულ დარღვევაზე მიმწოდებელს უნდა დაეკისროს პროგრამის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. საკითხთან დაკავშირებით კონტროლის პოზიცია დარჩა უცვლელი;

1.5. მიმართვის ფორმისა და დასრულების სტატუსის შეუსაბამობა - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისიის მიერ ხმათაუმრავლესობით მიღებული რეკომენდაციით, აღნიშნულ დარღვევაზე მიმწოდებელს უნდა დაეკისროს პროგრამის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. საკითხთან დაკავშირებით კონტროლის პოზიცია დარჩა უცვლელი;

1.6. დროის ერთი და იმავე შუალედში ისეთი პროგრამული კოდების მოწოდება რომელთა ანაზღაურება ხდება საწოლდით - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას.

2. მიმწოდებლის მიერ დარღვეულია პროგრამის მე-22 მუხლის მე-7¹ პუნქტის მოთხოვნები, №1.2 დანართის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით (კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია) განსაზღვრული მომსახურების, მ.შ. კრიტიკული მდგომარეობების/ინტენსიური თერაპიის საწოლებზე უწყვეტად 21 დღის შემდეგ დაყოვნება და პროგრამის ადმინისტრირების წესი მუხლი 5 პუნქტი 24. აღნიშნულ შემთხვევებში კრიტიკული კოდი, რომელიც მოიაზრებს დაყოვნებას <14 ან 21ს/დღემდე, გვიან არის შეცვლილი კოდით - დაყოვნება 14 ან 21ს/დღეზე > (კრიტიკული მდგომარეობების/ინტენსიური თერაპიის საწოლებზე უწყვეტად 14 და 21ს/დღის. დაყოვნების პრინციპის გათვალისწინებით); აღნიშნული I კოდის ტარიფი არის მეტი, ვიდრე II კოდის, შესაბამისად ელექტრონულად შეუსაბამოდ გვიან ხდება გადასვლა უფრო დაბალტარიფიან კოდზე, აღნიშნული განაპირობებს ანაზღაურებას მეტი ტარიფით, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ანაზღაურებისას - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისიის მიერ ხმათაუმრავლესობით მიღებული რეკომენდაციით აღნიშნულ დარღვევაზე მიმწოდებელს უნდა დაეკისროს არასწორად (ზედმეტად) ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნება. საკითხთან დაკავშირებით კონტროლის პოზიცია დარჩა უცვლელი;

3. ელექტრონული ანგარიშგების მოდულში გადმოცემული ორი ქირურგიული კოდიდან- ოპერაციული ჩარევა და პერიტონიტი. მოთხოვნილი უნდა იყოს მხოლოდ პერიტონიტი, ვინაიდან პერიტონიტი არის შედეგი იმ გარემოებისა რის გამოც ჩატარდა ოპერაცია - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ"

ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

4. მიმწოდებლის მიერ დარღვეულია პროგრამის მე-22 მუხლის მე-5 პუნქტი, (წარდგენილი ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს პროგრამული შემთხვევის დასაწყისიდან მის დასრულებამდე სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტისთვის აღმოჩენილ ყველა სამედიცინო აუცილებლობით განპირობებულ ჩარევას, მათ შორის, ინტენსიური მკურნალობის/მოვლის განყოფილებაში პაციენტის დაყოვნების გათვალისწინებით) კერძოდ, კლინიკის მიერ, ერთი პროგრამული შემთხვევის ფარგლებში მოთხოვნილია როგორც I დონის ინტ. მკურნალობა ასევე თერაპიული კოდი - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

5. კლინიკის წარმომადგენლები აპელირებენ დადგენილების მე-15 მუხლის მეორე პუნქტის "კ" ქვეპუნქტზე (მე-15 მუხლი - შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ან ანაზღაურებაზე უარი), რომლის თანახმადაც "ადგილი აქვს მიმწოდებლის მიერ შეტყობინების სისტემაში ერთი მკურნალობის ეპიზოდის/შემთხვევის ფარგლებში დაფიქსირებული რამდენიმე პროგრამული შემთხვევიდან რომელიმე პროგრამული შემთხვევ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, შესაბამისი კოდ(ებ)ის არასწორად დაფიქსირებას. ასეთ შემთხვევაში, არ ანაზღაურდება არასწორად დაფიქსირებული პროგრამული შემთხვევა/შემთხვევები და მასთან ერთად, არ ანაზღაურდება ამ მკურნალობის ეპიზოდის/შემთხვევის ასანაზღაურებელი თანხის 10%". აღნიშნულ შემთხვევაში შემმოწმებელი ჯგუფების პოზიციას კონტროლის ეტაპზე გამოვლენილ დარღვევებზე - მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

6. მიმწოდებლის მიერ დარღვეულია მე-11 მუხლის მე- 5 პუნქტი, კერძოდ შემთხვევები დახურულია ჰისტომორფოლოგიური კვლევის პასუხის მიღებამდე - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე- 4¹ პუნქტით განსაზღვრული სანქცია (50 ლარის ოდენობით თითოეულ შემთხვევაზე). კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

7. მიმწოდებლის მხრიდან დარღვეულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, კერძოდ; „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის (ინფორმირებული თანხმობა) მე-2 პუნქტის და „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თავი IV (თანხმობა) 22-ე მუხლის, მე-2 პუნქტის (წერილობითი ინფორმირებული თანხმობა აუცილებელია შემდეგი სამედიცინო მომსახურების გაწევისას) მოთხოვნები - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

8. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილ შემთხვევებში, პაციენტის ინდივიდუალური ეფექტური დოზის მნიშვნელობის რეგისტრაცია არ არის განხორციელებული. შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ დარღვეულია: „სამედიცინო რენტგენურ-რადიოლოგიური დიაგნოსტიკური პროცედურებისა და მკურნალობის დროს რადიაციული დაცვის უზრუნველყოფის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 4 მარტის N41/5 ბრძანების თავი X (მოსახლეობისა და პაციენტების რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჰიგიენური მოთხოვნები) მუხლი 21. მე-6 პუნქტი, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის N83 დადგენილების თავი X (მოსახლეობისა და პაციენტების რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები) მუხლი 21. მე-6 პუნქტი და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის N317 დადგენილების მე-10 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას. ასევე კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია დამატებით წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინება და საჯარიმო სანქციის შეცვლა;

9. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შემთხვევებში, გვამი გაცემულია გაკვეთის გარეშე „საქართველოში პათოლოგიურანატომიური სამსახურის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №242/ნ ბრძანების დანართი N3 დამტკიცებული "დებულება სტაციონარულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებსა და ბინაზე მომკვდარ ავადმყოფთა გვამების გაკვეთის წესის" მეექვსე მუხლის თანახმად, "სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელს განსაკუთრებულ შემთხვევაში უფლება აქვს გასცეს გვამი გაუკვეთავად, მხოლოდ მან ავადმყოფობის ისტორიაში წერილობით უნდა დაასაბუთოს გვამის გაუკვეთავად გაცემის მიზეზი". ავადმყოფობის ისტორიებში არ ფიქსირდება გვამის გაუკვეთავად

გაცემის მიზეზის წერილობითი დასაბუთება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

10. მიმწოდებლის მიერ დარღვეულია "საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-20 მუხლის, მე-5 პუნქტის "კ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა, კერძოდ: მიმწოდებელი ვალდებულია "პროგრამის ყოველი კომპონენტის მიხედვით მომსახურების შესრულებისთვის დანახარჯთა დადასტურების მიზნით, ცალ-ცალკე აწარმოოს პროგრამით/კომპონენტით გახარჯული მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნების, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებების პროცედურების, მანიპულაციების, მათ შორის, საოპერაციო მასალის ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევების აღრიცხვა, ცალ-ცალკე საჯარიმო პერიოდში;" კლინიკის მიერ, ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული ინფორმაცია - მიმწოდებელს დაეკისრა ჯარიმა შესაბამის პერიოდში ჩარიცხული თანხის 1%. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

11. მიმწოდებლის მიერ ფინანსური (კალკულაცია) დოკუმენტაციით მოთხოვნილი კვლევები, მანიპულაციები, კონსულტაციები, მედიკამენტები და სხვა მიმწოდებელმა ვერ წარმოადგინა შემოწმების პერიოდში - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

12. მიმწოდებლის მიერ ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში (მოდული) არ არის - აღნიშნული დიაგნოზის დასრულების დრო - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისიის რეკომენდაციით აღნიშნულ დარღვევაზე მიმწოდებელს გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების შემთხვევებზე უნდა დაეკისროს პროგრამის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია, ხოლო გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების შემთხვევებზე მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია;

13. მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილია ორი ან რამდენიმე შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული კოდი - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

14. პაციენტის მიერ გადახდილია პროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელ ოდენობაზე მეტი თანხა, ასევე, ელექტრონული ანგარიშგების მოდულში გადმოცემული პაციენტის მიერ ასანაზღაურებელი თანხა და რეალურად პაციენტის მიერ ანაზღაურებული თანხა არ შეესაბამება ერთმანეთს - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. სხდომაზე მომხსენებლების დამატებითი არგუმენტების გათვალისწინებით, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მოცემული შემთხვევების შეფასება განხორციელდეს უშუალოდ შემოწმებელთა მიერ კომპეტენციის შესაბამისად;

15. წარმოდგენილ შემთხვევებში მიმწოდებლის მიერ კალკულაციაში მითითებული ფაქტიური ხარჯი არ ემთხვევა ელექტრონულ ანგარიშგების მოდულში (ელექტრონული ჯანდაცვა) წარმოდგენილ შემთხვევის ღირებულებას (ფაქტიურ ხარჯს) - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისია დაეთანხმა დარღვევაზე განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას;

16. წარმოდგენილ შემთხვევებში მიმწოდებლის მიერ კალკულაციაში მითითებული პაციენტის მიერ ასანაზღაურებელი თანხა არ ემთხვევა ელექტრონული ანგარიშგების მოდულში (ელექტრონული ჯანდაცვა) წარმოდგენილს - მიმწოდებელს დაეკისრა პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია. კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით მიღებული რეკომენდაციით, აღნიშნულ დარღვევაზე მიმწოდებელს უნდა დაეკისროს პროგრამის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია.

17. წარმოდგენილი ინფექციური კოდები ანაზღაურდება, როგორც გადაუდებელი საყოველთაო პროგრამის ფარგლებში 380 ლარით, შესაბამისად პაციენტის თანაგადახდის დაანგარიშება უნდა მოხდეს სახელმწიფო ტარიფის 20 პროცენტი 165-ე დადგენილების ბენეფიციარებისთვის. კლინიკამ თანაგადახდა დაიანგარიშა კლინიკის მიერ წარმოდგენილი ტარიფიდან შესაბამისად პაციენტმა გადაიხადა 105 ლარი 76 ლარის ნაცვლად. კომისიის რეკომენდაციით აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით, შემოწმებელ ჯგუფებს დაევალა პროგრამის დანართი N1.2-

ით განსაზღვრული გადაუდებელი თერაპიული მომსახურების პროგრამული კოდებით ყველა ანაზღაურებული შემთხვევების პროგრამულად გადამოწმება და ცდომილების გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისროს პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული სანქცია.

18. კომისიის მიერ დამატებით იქნა განხილული შემოწმების პროცესში მიმწოდებლის მიერ სამედიცინო ბარათების წარმოდგენილობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების განსაზღვრის საკითხი. კონტროლის დეპარტამენტის პოზიციით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მიმწოდებელს დაეკისროს პროგრამის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის "თ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სანქცია, რასაც კომისიის წევრებიც დაეთანხმნენ. ასევე კომისიამ ჩათვალა, რომ თუ ადგილი აქვს პროგრამის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის "მ" ქვეპუნქტით აღწერილ გარემოებას, შემოწმებელმა უნდა იმოქმედოს პროგრამის მე-19 მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად.

მასალები განსახილველად წარმოადგინეს კონტროლის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტებმა - ვეფხვია მალუტაშვილმა, გიორგი მეგრელიძემ, ლევან გვარამაძემ, მადონა ასათიანმა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირმა - რუსუდან სამხთუაშვილმა, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირმა - ეკა აკოლაშვილმა.

/დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხი ოქმს თან ერთვის/

2. მეორე საკითხის განხილვისას კომისიამ იმსჯელა სოციალური მომსახურების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის მიერ შპს "ქ. თბილისის N19 მოზრდილთა პოლიკლინიკაში" 2013 წლის 28 თებერვლიდან 2019 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში "საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე თანხმობის ფორმის შევსების მდგომარეობის შემოწმების შედეგად გამოვლენილი სადაო საკითხებზე. კერძოდ:

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შემოწმების პროცესში შპს "ქ. თბილისის N19 მოზრდილთა პოლიკლინიკის" მენეჯერის მიერ 2019 წლის 16 სექტემბერს სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2018 წლის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის აქტი, რომლის თანახმადაც, შპს "ქ. თბილისის N19 მოზრდილთა პოლიკლინიკაში" 2018 წლის 2 აპრილს წყლის მილის დაზიანების გამო დაიტბორა პოლიკლინიკის არქივი, სადაც ინახებოდა წინა წლების სამედიცინო დოკუმენტაცია, მ.შ. 10 ყუთი გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე შევსებული თანხმობის (არამკაცრი - ე.წ. თეთრი) ფორმები. ამავე დოკუმენტის თანახმად, წყლისაგან დაზიანებული დოკუმენტაცია გახდა ყოვლად გამოუსადეგარი, არ იკითხებოდა ინფორმაცია და დაექვემდებარა ჩამოწერას. საკითხთან დაკავშირებით პოლიკლინიკის მიერ წარმოდგენილ იქნა აუდიტორული ფირმა "სალომეს" 2019 წლის 4 სექტემბრის N64 ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა.

კონტროლის დეპარტამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის N04-17252 მოხსენებით ბარათზე სააგენტოს დირექტორის რეზოლუციის თანახმად, შემოწმებული ჯგუფის მიერ გადამოწმდა შპს "ქ. თბილისის N19 მოზრდილთა პოლიკლინიკაში" გაეწიათ თუ არა რაიმე სახის სამედიცინო მომსახურება იმ პირებს რომელთა სამედიცინო დოკუმენტაცია (თანხმობის ფორმა) დაექვემდებარა ჩამოწერას. შერჩევითი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსარგებლის ამბულატორიაში დარეგისტრირების პერიოდში 158 შემთხვევაში მიმწოდებლის მხრიდან გაწეულ იქნა სამედიცინო მომსახურება, იმ ბენეფიციარებზე, რომელთა სამედიცინო ბარათები არ აღმოჩნდა შემოწმების პროცესში.

წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვის შედეგად კომისიის წევრთათვის არ აღმოჩნდა ზემოთაღნიშნული რაოდენობა საკმარისი საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მიღებულ იქნა რეკომენდაცია, საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით დამატებით გადამოწმდეს შპს "ქ. თბილისის N19 მოზრდილთა პოლიკლინიკაში" გაეწიათ თუ არა რაიმე სახის სამედიცინო მომსახურება იმ პირებს რომელთა სამედიცინო დოკუმენტაცია (თანხმობის ფორმა) დაექვემდებარა ჩამოწერას.

მასალა განსახილველად წარმოადგინა კონტროლის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტებმა - სოფიო კოპალეიშვილმა და ეკატერინე ლელაშვილმა.

/დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხი ოქმს თან ერთვის/

კომისიის მიერ სადაო საკითხების განხილვის შედეგად მიღებულ იქნა რეკომენდაცია:

კომისიის მიერ სადაო საკითხების განხილვის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. დაევალოს სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტს (პ. ცაბიკიძე):

ა. უზრუნველყოს 2019 წლის 17-21 ოქტომბრის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად შემოწმების აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და საჯარიმო სანქციების გადაანგარიშება;

ბ. უზრუნველყოს დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის მე-14 პუნქტთან მიმართებაში 2017 წლამდე პერიოდში გამოვლენილი დარღვევის შესახებ ინფორმაციის კომპეტენციის შესაბამისად სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში გადაგზავნა;

გ) დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით შპს "ქ. თბილისის N19 მოზრდილთა პოლიკლინიკაში" მივლინების დაგეგმვის მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება.

ლევან გოგობე

ავთანდილ ვასაძე

კახაბერ ჩხარტიშვილი

მაი მალაყელიძე-ხომერიკი

პავლე ცაბიკიძე

რამაზ ადამია

მაია შავშიშვილი

მაგდა ნასყიდაშვილი

ნინო გოგიჩაიშვილი

მამუკა ამირეჯიბი

მდივანი: მ. მუჯირიშვილი